




სსიპ კოლეჯი „ლაკადა“

წლიური ანგარიში 2019



სსიპ კოლეჯის „ლაკადა“ წლიური ანგარიში 2019

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს 2019 წლის N148 გადაწყვეტილებით სსიპ კოლეჯს „ლაკადა“ მიენიჭა ავტორიზაცია და პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განისაზღვრა 122-ით.

2019 წელს საგაზაფხულო და საშემოდგომო მიღებაზე პროგრამების მიხედვით არსებული კვოტებისა და მიღებული სტუდენტების თანაფარდობა:

1. ინფორმაციის ტექნოლოგია; კვოტა 19 - ჩაირიცხა 19 სტუდენტი
2. ელექტრობა; კვოტა 30 - ჩაირიცხა 30 სტუდენტი
3. სამკერვალო წარმოება; კვოტა 30- ჩაირიცხა 24 სტუდენტი
4. ფილამწყობი(მილევადი); კვოტა 10 -ჩაირიცხა 7 სტუდენტი
5. ზეინკალ-სანტექნიკოსი (მილევადი) კვოტა 12 ჩაირიცხა -8 სტუდენტი
6. ექთნის თანაშემწე (მილევადი) 13 აქტიური სტუდენტი

წლის განმავლობაში დარეგისტრირდა 199, მათ შორის სტუდენტის სტატუსი მოიპოვა 88 აპლიკანტმა.

რაც შეეხება კერძო სექტორთან პარტნიორობას 2019 წლის საანგარიშო პერიოდში პროგრამების შემუშავებისა და პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების მიზნით, გაფორმდა 20-მდე ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი რეგიონის მოქმედ ორგანიზაციებთან.

პროფესიული საგანმანათლებლო მოდულური/დუალური პროგრამების შემუშავება-განხორციელება/დამატება ავტორიზაციით.

2019 წელს კოლეჯი მუშაობდა სამშენებლო და ტურიზმის მიმართულების საგანმანათლებლო პროგრამების, ასევე სოფლის მეურნეობის მიმართულების ზრდასრულთა პროფესიული მომზადების პროგრამის შემუშავებაზე. დაწესებულება უზრუნველყოფს პროგრამების დამატებას, რაც მნიშვნელოვანად გაზრდის პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობას.

მომზადება-გადამზადების პროგრამების შემდგომი გაზრდა

მიმდინარე რეფორმის ფარგლებში შემოთავაზებული სერვისებიდან 2019 წელს კოლეჯი ჩაერთო პროფესიული მომზადებისა და გადამზადების პროგრამების

სსიპ კოლეჯის „ლაკადა“ წლიური ანგარიში 2019

დანერგვაში. განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2019 წლის 30 ოქტომბრის N 1035/ი ბრძანების შესაბამისად დადასტურდა სსიპ კოლეჯის „ლაკადა“ პროფესიული მომზადების პროგრამები;

ა) შიდა ელექტროგაყვანილობის მემონტაჟი

ბ) ელექტროდანადგარების მონტაჟი და მომსახურება

გ) ქალისა და მამაკაცის შარვლის კერვა

აღნიშნული პროგრამების განხორციელება დაგეგმილია 2020 წლის დასაწყისში.

სტუდენტთა მხარდაჭერა

კოლეჯის ადმინისტრაცია მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობს სტუდენტთა ცნობიერების ამაღლებას ისეთ საკითხებზე, როგორცაა: ძალადობა, ქალთა მიმართ ძალადობა, ტრეფიკინგი და ა.შ. აღნიშნულ თემასთან დაკავშირებით პერიოდულად ეწყობა შეხვედრები, სადაც დრო ეთმობა პრევენციის გზების გამოვლენას. რაზე უნდა იქნეს გამახვილებული ყურადღება? რა შესაძლებლობები არსებობს ჩვენს ქვეყანაში, რომ არ აღმოვჩნდეთ მსხვერპლი თუ მოძალადე, საუბრები თითოეული ადამინის უფლებების შესახებ, რომ მოხდეს ახალგაზრდებში თანამედროვე აზროვნების ჩამოყალიბება. აღნიშნული მიზნით, შედგა შეხვედრა, რომელსაც უძღვებოდნენ შინაგან საქმეთა სამინისტროს ადამიანი უფლებათა დაცვის, შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის, სსიპ ადამინთან ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვის, გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტისა და ზუგდიდის ოფისის იურიდიული სამსახურის წარმომადგენლები. თემას წარმოადგენდა გაეროს უშიშროების საბჭოს პროექტის „ქალებზე მშვიდობის უსაფრთხოების“ საკითხებზე, გამყოფი ხაზის სიახლოვეს მცხოვრებ კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ ქალებთან და მათი ოჯახის წევრებთან, გენდერული ნიშნით ჩადენილ ძალადობასა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ რისკებზე (როგორცაა ტრეფიკინგი, ომის ნარჩენები, გადაადგილების თავისუფლების შეზღუდვა და უკანონო დაკავებას საფრთხეები). შეხვედრა მიმდინარეობდა კითხვა პასუხის რეჟიმში. დამსწრებს მიეწოდათ ინფორმაცია ძალადობის პრევენციის გზების შესახებ. აღნიშნულ იქნა, რომ ძალადობის ფაქტების შესახებ ინფორმაციის მიწოდება შეუძლია არა მარტო დაზარალებულს ან მოძალადეს, არამედ საზოგადოების ნებისმიერ წევრს, რათა თავიდან იქნეს აცილებული მოსალოდნელი საფრთხეები. კიდევ ერთხელ გაესვა

სსიპ კოლეჯის „ლაკადა“ წლიური ანგარიში 2019

ხაზი იმ ფქტს, რომ სრული ანონიმურობა დაცული იქნება შესაბამისი სამსახურის მიერ, რომელიც ხელს შეუწყობს ჩვენს ქვეყანაში ძალადობის ფაქტების შემცირებას.



- ✓ პროფესიული კოლეჯის სტუდენტთა მხარდაჭერის მიზნით კოლეჯში ეტაპობრივად ტარდება სხვადასხვა სახის აქტივობები. კერძოდ, კოლეჯის ბიბლიოთეკარის ორგანიზებით დაიგეგმა შემდეგი ღონისძიებები:

- ❖ 8 მარტი და გაზაფხული
- ❖ დაუნის სინდრომის დღე
- ❖ 9 აპრილი
- ❖ ეროვნული სამოსის დღე

თითოეულში მონაწილეობა მიიღეს კოლეჯის სტუდენტებმა, რაც ხელს უწყობს მათ სხვადასხვა უნარების განვითარებას, ასევე განსხვავებული სპეციალობის სტუდენტების ერთმანეთთან დაახლოვებას და ჯანსაღი კომუნიკაციის დამყარებას. რაც შეეხება ეროვნული სამოსის დღეს, როგორც ვიცით, კოლეჯი ახორციელებს სამკერვალო ნაწარმის სპეციალობას, რომლის სასწავლო კურსის ფარგლებში ხდება ეროვნული ტრადიციული სამოსის შექმნა. ეროვნული სამოსის დღესთან დაკავშირებით კი მოხდა მათი სტუდენტებზე მორგება, რომლითაც კოლეჯი შეუერთდა ეროვნული სამოსის დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებას. ასევე, ეროვნული სამოსი გამოფენილ იქნა ჯვარის კულტურის სახლის მიერ ორგანიზებულ ღონისძიებაზე. აღნიშნული აქტივობები ხელს უწყობს კოლეჯის ცნობადობის ამაღლებას დასახლებაში აქ მიმდინარე სპეციალობების მაღალი ხარისხით განხორციელების შესახებ.

- ✓ სტუდენტთა მხარდაჭერის და ცნობიერების ამაღლების მიზნით მოეწყო ტრენინგი თემაზე: „პროექტის წერა“. ტრენინგს უძღვებოდა ახალგაზრდულ მუშაკთა სკოლის მონაწილეები, რომელიც ორგანიზებული იყო პროექტის

სსიპ კოლეჯის „ლაკადა“ წლიური ანგარიში 2019

„საქართველოს სოფლებში ახალგაზრდული მუშაობის გაძლიერება ევროკავშირთან თანამშრომლობის გზით“ ფარგლებში. პროექტი დაფინანსებული იყო Erasmus+ Capacity building in field of youth პროგრამით და განმხორციელებელი იყო ასოციაცია „მერკური“ (Association “Merkuri”). ტრენინგის მიზანი იყო, სოფლად მცხოვრები ახალგაზრდების ცნობიერების ამაღლება, მიღებული ცოდნის და გამოცდილებს გაზიარება არაფორმალური განათლების გზით.



✓

- ✓ კოლეჯის სტუდენტებისთვის შედგა შეხვედრა საქველმოქმედო ჰუმანიტარული ცენტრის „აფხაზეთი“ წარმომადგენლების მიერ. მათ ისაუბრეს პროექტის „დევნილი და მასპინძელი თემის ეკონომიკური გაძლიერება“ შესახებ. კონკრეტული მაგალითებისა და ფაქტების გაზიარების საფუძველზე აღწერეს ყველა დეტალი, რომლის გათვალისწინების შემთხვევაში ნებისმიერმა მსურველმა შესაძლებელია მიიღოს მონაწილეობა სგრანტო კონკურსში. აღნიშნული ინფორმაციის მიწოდების შემდგომ სტუდენტები მოწვეულ იქნენ ჰუმანიტარული ცენტრის ოფისში გამართულ ტრენინგზე, რომლის შემდგომაც რამდენიმემ გამოთქვა სურვილი საგრანტო კონკურსში ჩართვის. ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით ორი პროექტი დაფინანსებულ იქნა, რომლითაც ისინი საკუთარი ბიზნესის წამოწყებას ან გაფართოებას შეძლებენ.
- ✓ საერთაშორისო ბიზნეს სკოლის ISB წარმომადგენლების მიერ შედგა საინფორმაციო შეხვედრა კოლეჯის სტუდენტებთან, რომლის მიზანს წარმოადგენდა ბიზნეს სკოლაში სწავლების სტრატეგიების გაცნობა და განხილვა. კოლეჯის სტუდენტებს გაუჩნდათ სურვილი სკოლის აქტივობებში

სსიპ კოლეჯის „ლაკადა“ წლიური ანგარიში 2019

ჩართვის და შეავსეს სააპლიკაციო ფორმები. მათგან მხოლოდ ორი იქნა შერჩეული, რომლებიც სკოლამ უზრუნველყო ტრანსპორტირებითა და კვებით 1 თვის განმავლობაში. ქ. ზუგდიდში მათ მთელი თვის განმავლობაში უტარდებოდათ გაკვეთილები ბიზნესის წამოწყებისა და დაფინანსების მიღების შესახებ.

- ✓ კოლეჯის კურსდამთავრებულები კი უკვე მერამდენე წელია იღებენ მონაწილეობას დევნილთა საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს მიერ განხორციელებულ პროექტში „სახელობო ხელსაწყოებით უზრუნველყოფის შესახებ“. 2019 წელს ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით 20-ზე მეტმა კურსდამთავრებულმა მიიღო მონაწილეობა და მათგან 15 მდე აპლიკანტმა მიიღო დაფინანსება. (სააგენტოს წარმომადგენლების მიერ მათთვის შეძენილ იქნა მოთხოვნილი ხელსაწყოები). ამავე სააგენტოს მიერ ხდება კოლეჯის დევნილ სტუდენტთა ტრანსპორტირების ხარჯების უზრუნველყოფა 150 ლარის ფარგლებში. სულ 2019 წელს აღნიშნული სერვისით ისარგებლა 11 სტუდენტმა.



სსიპ კოლეჯის „ლაკადა“ წლიური ანგარიში 2019

- ✓ კოლეჯს სტუმრობდა განათლების, მეცნიერების, სპორტისა და კულტურის სამინისტროს პროგრამის „ისწავლე და ასწავლე საქართველოსთან ერთად“ ამერიკის შეერთებული შტატის მოქალაქეები. 2019 წლის ივნისამდე აარონ ჰინდსი და შემოდგომიდან კი ემი ბაიბურგი. ორივე მატგანი აქტიურად იყვნენ ჩართული, როგორც ყოველდღიურ საგაკვეთილო პროცესში, ასევე ახორციელებდნენ დამატებით კურიკულუმით გაწერილ აქტივობებს. მათ ჩამოაყალიბეს კლუბი, სადაც ჩართეს არ მარტო კოლეჯის სტუდენტები, არამედ მიმდებარე საჯარო სკოლის მოსწავლეები. მათ ჰქონდათ ყოველკვირეული შეხვედრები. თემები და აქტივობები შერჩეული იყო პირველ შეხვედრაზე დასახელებული პრიორიტეტული საკითხების მიხედვით.



✓ ინდივიდუალური და ჯგუფური კონსულტაციები

მუდმივად მიმდინარეობს საპროფორიენტაციო კონსულტაციები. ეს ეხება, როგორც პროფესიის შერჩევის საკითხს, ასევე კურსდამთავრებულებს, რომლებიც საჭიროებენ დაკვალიანებას დასაქმების საკითხთან დაკავშირებით. მათ ეძლევათ რეგიონის თავისებურებიდან გამომდინარე ინფორმაცია იმ საკითხებზე, რომელიც არგენტულია და მოთხოვნადი შრომის ბაზარზე. ასევე, რაიმე ვაკანსიის შემთხვევაში მათ ეცნობებათ ინფორმაცია დასაქმების შესახებ.

PR აქტივობები

- საჯარო სკოლების პრაქტიკული პროექტი

კოლეჯის საქმიანობის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლებში ცნობადობის ამაღლება პროფესიულ განათლებაზე, მის შესაძლებლობებსა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესახებ. ამ მიზნის მისაღწევად კოლეჯის ადმინისტრაციის რეკომენდაციით პროფესიული პედაგოგები აქტიურად მუშაობენ ამ მიმართულებით. მათი ხელმძღვანელობით კოლეჯში არა ერთხელ ჩატარდა ინტეგრირებული გაკვეთილები საჯარო სკოლის მოსწავლეებისათვის. ხდება კოლეჯში არსებული ტექნიკური ბაზის გამოყენება, რომ მოსწავლეებში მოხდეს თეორიული ცოდნის პრაქტიკულად გამოყენება.

- საჯარო სკოლების ვიზიტი

სისტემატურად მიმდინარეობს სკოლების ვიზიტი კოლეჯში, რათა შესაძლებლობა მიეცეთ მოზარდებს სკოლის ასაკშივე სწორად განსაზღვრონ საკუთარი მომავალი. ხელი შეუწყობთ მათ სწორი არჩევანის გაკეთებაში. სკოლებისა და კოლეჯის ადმინისტრაციის თანამშრომლობის საფუძველზე ხდება დაგეგმარება მათი ვიზიტების. მოსწავლეები ადგილზე ეცნობიან კოლეჯის ინფრასტრუქტურას, სასწავლო პროგრამებსა და სახელოსნოებს. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ამჯერად კოლეჯის სტუმრები დაწყებითი კლასის მოსწავლეებიც იყვნენ. სწორედ ამ ასაკიდან უნდა მოხდეს ადამიანის ცნობიერების ფორმირება და დასახლებაში არსებული შესაძლებლობის გაცნობა მოზარდებისათვის.

- საგაზაფხულო და საშემოდგომო მიღების PR აქტივობები

სსიპ კოლეჯის „ლაკადა“ წლიური ანგარიში 2019

თითოეული მიღებისთვის ხორციელდება შესაბამისი აქტივობები, როგორცაა:

- ღია კარის დღე

მიღებებთან დაკავშირებით ჩატარდა ღია კარის დღე, რომლისთვისაც შექმნილ იქნა პრეზენტაცია, რომ აპლიკანტებს და ნებისმიერ დაინტერესებულ პირებს ქონოდათ შესაძლებლობა გაცნობოდნენ კოლეჯის შესაძლებლობებს. შეხვედრები შედგა კითხვა-პასუხის რეჟიმში და ნებისმიერ დამსწრეს ქონდა შესაძლებლობა მათვის სასურველ საკითხზე ამომწურავი პასუხის მიღების.

- საჯარო სკოლებში ვიზიტი

მიღებების წინ მოწმდება ინფორმაცია საჯარო სკოლებში. ხდება სკოლის ხელმძღვანელობასთან დაკავშირება, მათგან მონაცემების შეგროვება მოსწავლეების შესახებ, რომლებიც სწავლის გაგრძელებას არ აპირებენ, ან მათ შესახებ ვინც ვერ გადალახა მინიმალური ზღვარი ეროვნული მისაღები გამოცდებისა. შემდგომ ხდება თითოეული ინფორმაციის დამუშავება და დაკავშირება პოტენციურ აპლიკანტებთან. აღნიშნულიდან გამომდინარე, წალენჯიხისა და ზუგდიდის მუნიციპალიტეტების საჯარო სკოლებთან კიდევ ერთხელ მოხდა დაკავშირება და ვიზიტი.

- შეხვედრები საჯარო და საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში

ხდება სისტემატიურად, ორგანიზებული შეხვედრები საჯარო და საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში, მათთვის ზეპირი და ბეჭდვითი ინფორმაციის მიწოდება თითოეულ მიღებაზე გამოცხადებულ პროგრამების შესახებ.

- საზღვრისპია და ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრებთათვის პროფესიული განათლების მიღების PR აქტივობები.

კოლეჯი მდებარეობს ოკუპირებული აფხაზეთის ზონის საზღვრის მიმდებარე ტერიტორიაზე. პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობის მიზნით განხორციელდა აქტივობები, რის შედეგად 2019 წელს დარეგისტრირდა 14 აპლიკანტი - ჩაირიცხა 5 .

საზღვრისპია და ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრებთათვის პროფესიული განათლების მიღების PR აქტივობების მიზნით შედგა შეხვედრა გალის რესურსცენტრის წარმომადგენლებთან ქ. ზუგდიდში. მათ მივაწოდეთ ამომწურავი

სსიპ კოლეჯის „ლაკადა“ წლიური ანგარიში 2019

ინფორმაცია კოლეჯის შესაძლებლობების შესახებ და დაიგეგმა სამომავლო თანამშრომლობის გეგმები. გალის რესურსცენტრის წარმომადგენლის განმარტებით მათ ხელი მიუწვდებათ ოკუპირებული ზონიდან ახალგაზრდებზე და ისინი შესაბამის პროფორიენტაციას უტარებენ მათ. 2019 წელს მათი ხელშეწყობით მოხდა კოლეჯში ორი სტუდენტის ჩარიცხვა. გამოწვევა რისი წინაშეც ისინი ხშირ შემთხვევაში არიან, ეს არის განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის იდენტიფიკაციის დამტკიცება საქართველოს განათლების სამინისტროში. კერძოდ, მოსწავლეები, რომლებიც საშუალო განათლებას ოკუპირებულ ზონაში ღებულობენ მათზე გაიცემა რუსულ ენოვანი განათლების დამადასტურებელი მოწმობა, რომლის აღიარება უნდა მოხდეს საქართველოში და ეს პროცედურა გარკვეულ დროს მოითხოვს, რაც ხშირად ხდება მიზეზი აპლიკანტთა არ ჩარიცხვის პრფესიულ სასწავლებელში. ასევე, საზღვრის გადაკვეთისათვის აუცილებელი დოკუმენტის მომზადება. ანდა, ის რუსულ ენოვანი განათლება, რასაც ახალგაზრდები ღებულობენ ოკუპირებულ ტერიტორიაზე ხშირ შემთხვევაში არ არის საკმარისი პროფესიული ტსტირების გავლისათვის. კერძოდ, 2019 წლის საშემოდგომო მიღებაზე დარეგისტრირებული იყო ორი აპლიკანტი ოკუპირებული ტერიტორიიდან, რომელთაგან ვერც ერთმა ვერ დააგროვა საკონკურსო ქულა, რის გამოც ისინი ამ მიღებაზე ვერ ჩაირიცხნენ.

✓ ფესტივალები და ფორუმები

2019 წელს კოლეჯმა მონაწილეობა მიიღო დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილ ფესტივალში ქ. ქუთაისში. აღნიშნულ ღონისძიებებში მონაწილეობა ხელს უწყობს კოლეჯის სტუდენტთა თვითშეფასების ამაღლებას, რაც მათ ხდის კონკურენტუნარიანს შრომის ბაზარზე.



კარიერის დაგეგმვა

ხორციელდება კარიერის დაგეგმვის კუთხით კონსულტაციები. ნებისმიერ კურსდამთავრებულს თუ მიმდინარე სტუდენტს აქვს შესაძლებლობა მიიღოს კონსულტაცია, რეკომენდაციები მათი კარიერული წინსვლისთვის თუ ზოგადად დასაქმებისთვის. 2019 წლის წარმატებულ, დასაქმებულ სტუდენტთა რიცხვი მთლიანად 41% შეადგენს. კერძოდ, სამშენებლო მიმართულებით დასაქმებულთა რიცხვი 85% შეადგენს, დიზაინის მიმართულებით 75%, ინჟინერია-ელექტრობის სპეციალობით 55%. რეკომენდაციებს ვაძლევთ და ვეხმარებით ასევე, აპლიკაციის შევსებაში კურსდამთავრებულებს. კონსულტაცია გაეწია ასევე, კურსდამთავრებულებს, რომლებიც საზღვარგარეთ გეგმავენ სამუშაოდ წასვლას. თუ რა გამოწვევების წინაშე შეიძლება არმოჩნდნენ? რა დაწესებულებებს შეიძლება მიმართონ, რომლებიც ემიგრანტებზე ახორციელებენ სხვადასხვა საგანმანათლებლო პროექტებს.

დამსაქმებლებთან ურთიერთობა

კოლეჯში სისტემატიურად მიმდინარეობს როგორც მოქმედ, ისე პოტენციურ დამსაქმებლებთან დაკავშირება. კოლეჯის მიერ განხორციელებული პროგრამების მოთხოვნებიდან გამომდინარე მოხდა სამეგრელო ზემო სვანეთის რეგიონში, კერძოდ ზუგდიდი-ჯვარის მუნიციპალიტეტებში არსებული ორგანიზაციების მოძიება, რომლებიც სურვილის შემთხვევაში შესაძლოა გახდნენ კოლეჯის პარტნიორი დამსაქმებლები. მოლაპარაკებების შემდგომ მემორანდუმი გაფორმდა ყველა პოტენციურ დამსაქმებლებთან/საწარმოო პრაქტიკის ობიექტთან. 2019 წელს კოლეჯმა გაიარა ავტორიზაცია სამი პროგრამით (ელექტრობა, ინფორმაციის ტექნოლოგია და სამკერვალო წარმოება). ყველა მიმართულებით ხელახლა მოხდა დამსაქმებლებთან დაკავშირება და საჭიროების შემთხვევაში ხელშეკრულებების განახლება. სამომავლოდ კოლეჯი გეგმავს, 2020 წელს ახალი პროგრამების დამატებას და ამ მიმართულებით დამსაქმებლებთან კოორდინირებულ მუშაობას.

სსიპ კოლეჯის „ლაკადა“ წლიური ანგარიში 2019

კვლევები

ზოგადად კოლეჯში რეგულარულად ტარდება კვლევა ოთხი მიმართულებით. ესენია: სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა, დამსაქმებელთა და პედაგოგთა კვლევა. კურსდამთავრებულთა კვლევა ტარდება წელიწადში ორჯერ. პირველი ივნისის ბოლოს, 6 თვის მონაცემებით, და მეორე წლის ბოლოს (იანვარი 8-15).

2019 წელს კოლეჯი დაამთავრა და დიპლომი გაიცა შემდეგი სპეცილობის სტუდენტებზე:

#	სპეციალობა	თარიღი	რ-ბა	ქალი	კაცი
1	ინფორმაციის ტექნოლოგია	12.03.2018-12.06.2019	5	1	4
2	ინფორმაციის ტექნოლოგია	4.06.2018-4.06.2019	4	1	3
3	ელექტრობა	4.06.2018-12.04.2019	4	0	4
4	ელექტრობა	3.12.2018-7.10.2019	11	0	11
5	ზეინკალ-სანტექნიკოსი	4.12.2017-24.05.2019	6	0	6
6	ფილამწყობი	4.06.2018-2.12.2019	5	0	5
7	სამკერვალო წარმოება	3.12.2018-27.08.2019	5	5	0
	ჯამი		40	7	33

- ✓ კურსდამთავრებულთა დასაქმების მონიტორინგის წარმოება სპეციალობების, წლებისა და თვეების მიხედვით (1-დან - 6 თვის, 6-დან - 1 წლის მონაცემებით).

2018 წლიდან წარმოებს კურსდამთავრებულთა დასაქმების მონიტორინგი სპეციალობების მიხედვით სპეციალურად შემუშავებული ფორმის მიხედვით.

სსიპ კოლეჯის „ლაკადა“ წლიური ანგარიში 2019

აღნიშნული კვლევა წარმოებს წელიწადში ორჯერ. პირველი, ივლისის დასაწყისში და მეორე წლის ბოლოს. კერძოდ, იანვრის პირველ კვირას.

✓ კვლევა მომავალში დასანერგი პროგრამების შესახებ

2019 წელს ჩატარდა კვლევა წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლებში სამომავლოდ აქტუალური პროგრამების შესახებ. კვლევა ჩატარდა სულ წალენჯიხის რვა საჯარო სკოლაში და გამოიკითხა 130 სკოლის მოსწავლე.

კვლევამ გამოავლინა პრიორიტეტული სპეციალობები. ესენია: საბანკო საქმე, ბუღალტერია, ოფის მენეჯერი და ა.შ.

გამოკითხვის ფურცელზე მითითებული პროფესიების გარდა დასახელდა რამდენიმე რომლის დაუფლებასაც ისურვებდნენ შესაძლებლობის შემთხვევაში. ესენია: მანქანის ხელოსანი, მხატვარი, ფარმაცევტი.

გამოკითხვის შედეგებიდან გამომდინარე, წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლის მოსწავლეები დადებითად აფასებენ პროფესიულ განათლებას. თვლიან, რომ ეს არის უმოკლესი გზა სასურველი პროფესიის დაუფლების და დასაქმების ადგილობრივ შრომის ბაზარზე. მათთან უკმაყოფილების მიზეზების დასახელებას ადგილი არ ჰქონია.

პროფესიული უნარების განვითარება სკოლის მოსწავლეებში

პროექტი „პროფესიული უნარების განვითარება სკოლის მოსწავლეებში“ წარმატებით მიმდინარეობდა. 2019 წელს შეთავაზებულ იქნა ორჯერ (საგაზაფხულო და საშემოდგომო სეზონი). 2019 წელს კოლეჯმა განახორციელა აღნიშნული პროექტი ექვსი სპეციალობით:

- ❖ ელექტრობა
- ❖ ინფორმაციის ტექნოლოგია
- ❖ კულინარია
- ❖ ფილამწყობი
- ❖ ზეინკალ-სანტექნიკოსი
- ❖ სამკერვალო წარმოება

სსიპ კოლეჯის „ლაკადა“ წლიური ანგარიში 2019

პროექტი განხორციელდა წალენჯიხისა და ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის 16 საჯარო სკოლაში. კერძოდ, ბენეფიციარი 9 საჯარო სკოლა, პარტნიორი 7 სკოლა. შემოდგომის სეზონზე განხორციელდა 1 საორიენტაციო კურსი ფილამწყობის სპეციალობით წალენჯიხის #1 საჯარო სკოლაში.

სკოლის მოსწავლეებს შესაძლებლობა ქონდათ გაეცნოთ კურსი სპეციალობების მიხედვით. ამოცნოთ საკუთარი უნარები, რაც შესაძლებლობას აძლევს თითოეულ მონაწილეს მომავლის სწორად განსაზღვრასა და დაგეგმვაში. სპეციალობის გარდა თითოეულ ჯგუფში ჩატარდა საპროფორიენტაციო შეხვედრები, რომლის ფარგლებში ტარდება ძალიან საინტერესო აქტივობები, ამასთან საუბრები ისეთ თემებზე, როგორ შევარჩიოთ პრფესია? რა ასპექტებზე უნდა იქნეს ყურადღება გამახვილებული და მრავალი სხვა. მოსწავლეთაგან უკუკავშირის მიღების საფუძველზე შეგვიძლია დაბეჯითებით დავასკვნათ, რომ აღნიშნული პროექტი იყო ძალიან დროული და შედეგზე ორიენტირებული. მოსწავლეებს შესაძლებლობას აძლევს საკუთარ თავში თვითგამოკვევის, უნარების ამოცნობის და მომავლის სწორად განსაზღვრაში. პროექტის ფარგლებში დაგეგმილი იყო ექსკურსიები, როგორც კოლეჯში ასევე, საწარმოებში სპეციალობების მიხედვით, რაც თავის მხრივ გადიოდა შედეგზე.

სულ პროექტი მოიცავდა 18 სასწავლო კურსს. მათ შორის ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტისა და ოკუპირებული აფხაზეთის საზღვრისპირა ტერიტორიაზე მდებარე სკოლებში. 2019 წელს პროექტში მონაწილეობა მიიღო 270 საჯარო სკოლის მოსწავლემ.



სსიპ კოლეჯის „ლაკადა“ წლიური ანგარიში 2019

P.S. 2019 წლის მიღებების სტატისტიკა:

საგაზაფხულო მიღება

#	სპეციალობა	კვოტა	რეგისტრირებული აპლიკანტები	ჩარიცხულთა რაოდენობა
1	ელექტრობა	15	23	15
2	ინფორმაციის ტექნოლოგია	9	25	9
3	სამკერვალო წარმოება	15	16	12
4	ფილამწყობი	12	27	7
5	ზეინკალ – სანტექნიკოსი	12	31	8
	სულ	63	122	51

საშემოდგომო მიღება

#	სპეციალობა	კვოტა	რეგისტრირებული აპლიკანტები	ჩარიცხულთა რაოდენობა
1	ელექტრობა	15	29	15
2	ინფორმაციის ტექნოლოგია	10	17	10
3	სამკერვალო წარმოება	15	17	12
	სულ	40	63	37

ბიბლიოთეკა

2019 წლის საბიბლიოთეკო მუშაობის გამოწვევა იყო კვლევის ჩატარება კოლეჯის სტუდენტებსა და პედაგოგებში. კითხვა მდგომარობდა შემდეგში - „თქვენი საოცნებო ბიბლიოთეკა“. ამ შეკვითხვის არსი მდგომარეობდა იმის გარკვევაში, თუ რა ცვლილებები უნდა შეტანილიყო, როგორც წიგნადი ფონდის შევსებაში, ასევე ბიბლიოთეკის უფრო გამართულად მუშაობაში. გამოკითხვამ გამოავლინა, იმის აუცილებლობა, რომ ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი უნდა შეივსოს, როგორც სახელმძღვანელო, ასევე მხატვრული ლიტერატურით.

სსიპ კოლეჯის „ლაკადა“ წლიური ანგარიში 2019

ბიბლიოთეკის საქმიანობის ერთ-ერთი მიზანია არის, ფეხი აუწყოს სტუდენტების მოთხოვნებს და არ განისაზღვროს მისი ფუნქციონირება მხოლოდ წიგნების გაცემით. ბიბლიოთეკის ორგანიზებით გაიმართა შემდეგი ღონისძიებები:

„რუსეთი ოკუპანტია 1921 – 2008 წწ“

„მეგობრები არ ითვლინ ქრომისომებს“, რომელშიც მონაწილეობდნენ კოლეჯის სტუდენტები.

ინკლუზიური განათლება

კოლეჯი აქტიურად არის ჩართული ინკლუზიური განათლების ხელმისაწვდომობის განვითარებაში. ამ მიზნით, მთელი წლის განმავლობაში ხდება თემის და ზოგადად კოლეჯის მიერ დაფარვის მუნიციპალიტეტებში აღნიშნული სერვისის არსებობის შესახებ PR აქტივობები. კოლეჯში ჩარიცხულ პირებისთვის, საჭიროებისამებრ დგება ინდივიდუალური სასწავლო გეგმები, ხორციელდება დაკვირვება და მათი საჭიროებების გამოვლენა.

2019 წელს კოლეჯში 6 სტატუსის მქონე სტუდენტი ირიცხებოდა.

FABLAB

კოლეჯის ბაზაზე არსებული სამრეწველო ინოვაციების ლაბორატორია სტუდენტებს საშუალებას აძლევს, დაეუფლონ თანამედროვე ინოვაციურ ტექნოლოგიებს, რასაც ადასტურებს მათ მიერ შექმნილი ნამუშევრები. სტუდენტები შეისწავლიან ლაბორატორიაში არსებულ ყველა დანადგართან მუშაობის პრინციპებს.

სამრეწველო ინოვაციების ლაბორატორია აქტიურად იყო ჩართული „სკოლის მოსწავლეებში პროფესიული უნარების განვითარების“ პროგრამაში. პროგრამის ფარგლებში ჩართული საჯარო სკოლის მოსწავლეებს შესაძლებლობა ქონდათ წინასწარ გაწერილი თემატიკის მიხედვით „ერთი დღე ფაბლბში“ ემუშავათ.





გამოწვევები და სამომავლო გეგმები

ზოგადად კოლეჯი ახალი გამოწვევების წინაშე დგას, ის აქტიურად ერთვება ნებისმიერ სიახლეში, რომელიც განათლების სამინისტროს მიერ ხორციელდება. კოლეჯისათვის გამოწვევას ამ ეტაპზე წარმოადგენს ახალი პროგრამების დამატება. სამომავლოდ მოდულური და დუალური პროგრამების განხორციელებასთან ერთად იგეგმება, ინტეგრირებული პროგრამების დანერგვა-განხორციელება.

2020 წელს გაგრძელდება ყვლა ზემოთ ნახსენები აქტივობები და მეტი ყურადღება დაეთმობა სტუდენტთა მხარდაჭერის მიმართულებას. იგეგმება მეტი შეხვედრების, კონსულტაციების (ინდივიდუალური, ჯგუფური), შემეცნებითი ექსკურსიების განხორციელება. მონაწილეობა გამოფენებსა და ფორუმებში, რომ თითოეულ სტუდენტს აუმაღლდეს თვითშეფასების უნარი და იგრძნონ თავი კონკურენტუნარიანად შრომის ბაზარზე. ასევე, მომზადდეს და გავაგზავნოთ სააპლიკაციო მოთხოვნა Senior Expert SES პროექტის ფარგლებში და მივცეთ როგორც პედაგოგებს, ასევე სტუდენტებს შესაძლებლობა გერმანული პროფესიული განათლების გაზიარების. დაგეგმილია დორტმუნდის უნივერსიტეტის პროფესორის ფრიდონ შუბითიძის ვიზიტი სკუთარი გამოცდილების გაზიარების მიზნით.